სსიპ „საზოგადეობრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო“-ს დირექტორის
2023 წლის 08 ნოემბრის N ---------- ბრძანების

დანართი N 1

სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს“ მიერ ტელე, რადიო, ასევე ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების
შესყიდვის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. წინამდებარე წესი შემუშავებულია ,,მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20[1] მუხლისა და სსიპ ,,საზოგადეობრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიოს“ (შემდეგში - ,,მაუწყებელი“) დებულების საფუძველზე.

2. წინამდებარე წესი ადგენს მაუწყებლის მიერ ტელე, რადიო, ასევე, ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის (შემდეგში - ,,პროდუქცია“) ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის დაგეგმვისა და განხორციელების წესს, რომელზეც არ ვრცელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონი.

3. წინამდებარე წესის მიზანია მაუწყებლის მიერ პროდუქციის შესაძენად განკუთვნილი ფულადი სახსრების რაციონალური ხარჯვა, შესყიდვების მონაწილეთა მიმართ პროპორციული, არადისკრიმინაციული მიდგომისა და თანასწორი მოპყრობის უზრუნველყოფა, შესყიდვების პროცედურების კანონმდებლობის შესაბამისად წარმართვა და მაუწყებლის საქმიანობის შეუფერხებლად განხორციელება.

მუხლი 2. გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

1. წინამდებარე წესში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) შესყიდვის ობიექტი – ტელე, რადიო, ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურება.

ბ) მომწოდებელი – პირი, რომელმაც მაუწყებელთან გააფორმა პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება (შემდეგში - ,,ხელშეკრულება“).

გ) პროდუქცია - **ტელე, რადიო, ვებგვერდისა და სოციალური ქსელებისათვის განკუთვნილი** აუდიოვიზუალური ნაწარმოები, მათ შორის პროგრამა, გადაცემა, ფილმი, სპექტაკლი, სერიალი, რეპორტაჟი, კულტურული ღონისძიება.

მუხლი 3. მაუწყებლის უფლება-მოვალეობები

1. მაუწყებელი უფლებამოსილია:

ა) წინამდებარე წესის დაცვით შეარჩიოს მომწოდებელი და გააფორმოს ხელშეკრულება;

ბ) ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეაჩეროს ან შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს ეწინააღმდეგება წინამდებარე წესის მიზნებს ან აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით.
გ) განახორციელოს კონტროლი და ზედამხედველობა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებაზე;
დ) საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად შეაჩეროს ან შეწყვიტოს ხელშეკრულების მოქმედება თუ მიმწოდებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია/ინფორმაცია ყალბი აღმოჩნდება, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.
2. მაუწყებელი ვალდებულია პროდუქციის შესყიდვის პროცედურები განახორციელოს მის მიერ შესყიდვებისათვის გამოყოფილი თანხის ფარგლებში, ამ წესით დადგენილი პირობების დაცვით.
3. მაუწყებელი უფლებამოსილია შესყიდვის განხორციელების ადმინისტრირების მიზნით თემატური მიმართულებების მიხედვით შექმნას კომისია.

მუხლი 4. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები და წესი
1. ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობები ეხება შესყიდვის განხორციელებასთან დაკავშირებულ შემდეგ საქმიანობას:
ა) წინადადებების განხილვას და შეფასებას;
ბ) მომწოდებლ(ებ)ის შერჩევას და გამოვლენას;
გ) ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლსა და ზედამხედველობას.
2. დაუშვებელია, რომ მაუწყებელმა ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული საქმიანობის განხორციელება დაავალოს ან კონსულტანტად (ექსპერტად) მოიწვიოს პირი, თუ იგი პოტენციური მომწოდებლის ახლო ნათესავია (საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი აღმავალი და დაღმავალი შტოს ნათესავი) ან/და მომწოდებელთან იმყოფება ინტერესთა კონფლიქტში საქართველოს საგადასახადო კოდექსით და სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილი წესით.
3. თუ ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული საქმიანობის განმახორციელებელ პირს წარმოეშობა ინტერესთა კონფლიქტი, მან დაუყოვნებლივ უნდა განაცხადოს წერილობით აღნიშნულის თაობაზე და შეწყვიტოს მონაწილეობა ამ შესყიდვის განხორციელებაში.

მუხლი 5. შესყიდვების დაგეგმვა და საშუალებები
1. მაუწყებელი ტელე, რადიო, ასევე ვებგვერდისა და სოციალური ქსელისათვის განკუთვნილი პროდუქციის ან/და მის შესაქმნელად საჭირო მომსახურების შესყიდვას ახორციელებს მაუწყებლის ბიუჯეტის შესაბამისად.
2. შესყიდვა შეიძლება განხორციელდეს:

ა) ერთ პირთან მოლაპარაკების, ბაზრის მოკვლევის ან/და ღია კონკურსის შედეგების საფუძველზე;
ბ) ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ მაუწყებელში წარმოდგენილი წინადადებების/ინიციატივების/პროექტების განხილვის შედეგების საფუძველზე;

მუხლი 6. შესყიდვის განხორციელების პროცედურა

1. შესყიდვის პროცესს, გარდა ერთ პირთან მოლაპარაკების შემთხვევისა, ადმინისტრირებას უწევს, არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით შექმნილი კომისია.
2. კომისის საქმიანობას წარმართავს კომისიის თავმჯდომარე, რომელიც აირჩევა კომისის ხმათა უმრავლესობით.
3. მაუწყებელი უფლებამოსილია კომისიაში ექსპერტებად და კონსულტანტებად, სათათბირო ხმის უფლებით მოიწვიოს შესაბამისი დარგის სპეციალისტები.
4. კომისია უფლებამოსილია:
ა) დაადგინოს შესყიდვის პირობები;
ბ) შესყიდვის პირობები ელექტრონული კომუნიკაციის სხვადასხვა საშუალებების გამოყენებით გაუგზავნოს პოტენციურ მომწოდებლებს ან/და ინფორმაცია განათავსოს მაუწყებლის ვებ-გვერდზე;
გ) გამოავლინოს საუკეთესო წინადადების მქონე მომწოდებელ(ებ)ი;
დ) განიხილოს ფიზიკური ან/და იურიდიული პირების მიერ წარმოდგენილი წინადადებები ან/და შექმნილი საჭიროებიდან გამომდინარე მაუწყებლის დირექტორს წარუდგინოს რეკომენდაცია/მოსაზრება შესყიდვის მიზანშეწონილობასთან (პროგრამის დადგენილ სტანდარტებთან/პროგრამულ პრიორიტეტებთან/შინაარსობრივ ვალდებულებებთან შესაბამისობა, წინადადების ფასის ადეკვატურობა და სხვ.) დაკავშირებით.
5. კომისია საოქმო გადაწყვეტილებას იღებს სხდომაზე დამსწრე პირთა უმრავლესობით, კომისია უფლებამოსილია თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.
6. კომისიის წევრს, რომელიც არ ეთანხმება კომისიის გადაწყვეტილებას, უფლება აქვს, წერილობით წარადგინოს თავისი მოსაზრება, რომელიც უნდა დაერთოს კომისიის გადაწყვეტილებას. ხმათა თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
7. კომისიის სხდომის ოქმის შედგენას უზრუნველყოფს კომისიის მდივანი, ხოლო ოქმს ხელს აწერს ყველა დამსწრე წევრი.
8. კომისია ხმათა უმრავლესობით ან/და ქულათა სისტემით ავლენს საუკეთესო წინადადებას და მაუწყებლის დირექტორს წარუდგენს შერჩევის შედეგების დამტკიცების თაობაზე განაცხადს.
9. მაუწყებლის დირექტორი უფლებამოსილია კომისიის მიერ შერჩეულ კანდიდატთან პირდაპირ გააფორმოს შესყიდვის ხელშეკრულება ან/და კომისიის მიერ წარმოდგენილი განაცხადი განიხლოს მმართველი საბჭოს სხდომაზე, რომლის საფუძველზეც მიიღება

შესყიდვის განხორციელებაზე ან/და შესყიდვის განხორციელებაზე უარის თქმის შესახებ გადაწყვეტილება.

10. შერჩევის შედეგების მაუწყებლის დირექტორის ან/და მმართველი საბჭოს მიერ მიუღებლობის შემთხვევაში, შერჩევა ცხადდება ჩაშლილად.

11. ერთ პირთან მოლაპარაკების საფუძველზე შესყიდვის პროცედურა შეიძლება წარმართოს მაუწყებლის დირექტორმა, კომისიამ ან/და მაუწყებლის შესაბამისმა სტრუქტურულმა ერთეულმა, აღნიშნულ პროცესში მაუწყებლის დირექტორის მოწვევის შემთხვევაში ვალდებულია ჩაერთოს მაუწყებლის მმართველი საბჭო.

მუხლი 7. ხელშეკრულები დადების წესი და პირობები

1. შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება იდება წერილობითი ფორმით და უნდა მოიცავდეს შემდეგ მინიმალურ პირობებს:

ა) მხარეთა ზუსტ დასახელებას და რეკვიზიტებს;

ბ) მითითებას ხელშეკრულების დადების საფუძვლის შესახებ;

გ) ხელშეკრულების ობიექტის დასახელებას, ტექნიკური პარამეტრებს, ძირითად მახასიათებლებს, საიდენტიფიკაციო მონაცემებს, რაოდენობას, ერთეულს;

დ) ხელშეკრულების ღირებულებას და ანგარიშსწორების წესს, ვადას და მხარეთა საბანკო რეკვიზიტებს;

ე) მიწოდების, მომსახურების გაწევის ვადებს და ადგილს;

ვ) მხარეთა უფლება-მოვალეობებს;

ზ) შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესს;

თ) ხელშეკრულების შესრულების ან/და საავანსო ანგარიშსწორების უზრუნველყოფის გარანტიის წარდგენისა და გამოყენების წესს (ამ მექანიზმის გამოყენების შემთხვევაში);

ი) ხელშეკრულების მოქმედების ვადას;

კ) მაუწყებლის მიერ ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის წესს;

ლ) სხვა პირობებს შესყიდვის სპეციფიკის გათვალისწინებით.

მუხლი 8. დასკვნითი დებულებები

წინამდებარე წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა შესაძლებელია მაუწყებლის დირექტორის ბრძანებით.